ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ტფილისი

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და ვლეხთა მთავრობისა.

1928 წლის აპრილის 1.	№ 8 განყოფილება პირველი	ა/კ. ც. ა. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მუხ. 69. სამშენებლო სამუშაოთა პროექტების სათანადო ჩამოყალიბებამდე სამშენებლო მუშაობის დაწყების აკრძალვის შესახებ.

„ 70. დებულებ ბეჭდვითი საქმის კომიტეტის შესახებ.

„ 71. საბინაო მშენებლობაში მეადნაგეთა ცალკე კატეგორიების საკუთარი სახსარით საწილადო მონაწილეობის შესახებ.

„ 72. საქონლის საეტიკეტო ფასების დაცვისათვის ზედამხედველობის გაწევის შესახებ.

„ 73. ა/კსფსრ შინამრეწველობის გამოკვლევის შესასებ.

„ 74. ა/კ. რკ. გზების აღმოსავლეთ უბნის გამოკვლევის შესახებ.

„ 75. კოოპერატიული ორგანიზაციების მოქმედებაში ხელისუფლების ორგანოების უკანონო ჩარევით მიყენებული ზარალისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

„ 76. ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტისა და ა/კ. სახ. კ-თა საბჭოს მიერ „ა/კსფსრ გზატკეცილებისა და შარაგზების დანაწილებისა და მათი საგანთვისებო ზოლის ნორმების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ.

„ 77. სახელმწიფო საწარმოოთა მოგების ანარიცხის ხაზინის შემოსავლად შეტანის წესის შესახებ.

„ 78. ა/კსფსრ შინამრეწველობისა და ხელოსნობის გამოკვლევის შესახებ.

„ 79. სოფლელთა უღარიბესი ნაწილისათვის კრედიტის მისაცემად არსებული საამიერკავკასიო ფონდის დახარჯვის ანგარიშგების წესების შესახებ.

„ 80. ა/კ. რკ. გზების საქალაქო სადგურების მიერ ქალ. ბაქოსა, ლენინაკანსა, ბათუმსა და ფოთში საბაჟო მოქმედების შესრულებისათვის გადასახდევინებელი საკომისიო გამოსაღების ნიხრის (ტარიფის) დაწესების შესახებ.

„ 81. ინსტრუქცია კომერციული ანგარიშის პრინციპზე მომქმედ სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა, კოოპერატიულ ორგანიზაციათა და სახელმწიფო და კოოპერატიული კაპიტალის მონაწილეობით მომქმედ სააქციონერო საზოგადოებათა მიერ ფულადი ოპერაციების წარმოების წესისათვის.

„ 82. ა/კ. რკ. გზ. ჯიათურა-საჩხერის უბნით საქალაქმიდამო მიმოსვლისათვის თვიური ბილეთების გაცემის წესის შესახებ.

„ 83. ოთხეული საქონლისა და ცხოველთა უმი პროდუქტის ნორმალური შეფასების შესახებ სავეტერინარო-სასანიტარო გასინჯვისათვის გამოსაღების გადასახდევინებლად.
„ 84. იმ მომუშავეთა შესახებ, რომელთაც სამუშაო დღე დანორმილი არა აქვთ.
„ 85. აზრბაიჯანის საფეიქრო ტრესტის სახვევ-საქსოვი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა მიმოსვლისაოვის ა/კ. რკ. გზ. ადგილობრივი ტარიფის დაწესების შესახებ.
„ 86. ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტის მიერ „ა/კსფსრ ტერიტორიაზე მომქმედ საერთო-საკავშირო უწყებათა ხარჯთაღრიცხვების განხილვის წესის თაობაზე“ 1927 წ. სექტემბრის 5-ს თარიღით გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.
„ 87. ა/კსფსრ სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური სახარჯო განაწერების შესახებ.

დადგენილება № 16 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

69. სამშენებლო სამუშაოთა პროექტების სათანადო ჩამოყალიბებამდე სამშენებლო მუშაობის დაწყების აკრძალვის შესახებ.

რადგანაც ყოფილა შემთხვევები, სამშენებლო სამუშაოთა პროექტების დამტკიცებამდე, თვით სამშენებლო მუშაობის დაწყებისა, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. კვლავ დადასტურებულ იქნეს უკილობელი აღსრულებისათვის ის მოთხოვნა, რომ ახალი შენობისა და ნაგებობისა და არსებულის გადაკეთებისა და კაპიტალური რემონტისათვის მუშაობის დაწყება შეუძლებელია, უკეთუ წინასწარ დამტკიცებულ არ იქნა საამისო პროექტები იმ წესის მიხედვით, რაც გათვალისწინებულია ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ დამტკიცებული 1927 წ. მარტის 10-ის „დროებითი წესებით ა/კსფსრ-ში შემავალ რესპუბლიკებში სამშენებლო სამუშაოთა პროექტების დამტკიცების წესის შესახებ“, (ა/კსფსრ-ში მშენებლობის დებულებანი, წესები, ნორმები და ინსტრუქციები, ნაწ. 1, 1928 წ. გამოც. ა/კ. სატ.-სააღმშ. კომ.-სა).

II. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიურ თათბირებს გააძლიერონ მშენებლობის მომწესრიგებელი ორგანოების სატეხნიკო-საინსპექტორო ზედამხედველობა და დაწესებულებათა და პირთა პასუხისმგებლობა მშენებლობის შესაბამ მომქმედი კანონმდებლობის დარღვევისათვის.

III. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის სატეხნიკო-სააღმშენებლო კომიტეტს შეიმუშაოს პროექტი დადგენილებისა—სამშენებლო მუშაობისათვის საინსპექტორო-სატეხნიკო ზედამხედველობის გაწევის წესის შესახებ და წარუდგინოს დასამტკიცებლად ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს,

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭ. საქმეთა მმართ. **ნ. სოკოლოვსკი.**

1928 წ. მარტის 1. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარაფ ვოსტოკა“-ს 62 (1728) №-ში 1927 წ. მარტის 16-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 17 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

70. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ბეჭდვითი საქმის კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:
დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

დებულება ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ბეჭდვითი საქმის კომიტეტის შესახებ.

1. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის შედგენილობაში მოეწყობა ბეჭდვითი საქმის კომიტეტი, რომელიც:

ა) მოაწესრიგებს საერთოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე სახელმწიფო, კოოპერატიულ, საზოგადოებრივ და კერძო საწარმოთა სავაჭრო და საწარმოო მოქმედებას პერიოდული და არაპერიოდული ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა გამოცემისა და გავრცელების სფეროში, და აგრეთვე მოაწესრიგებს ქაღალდისა და საკანცელარიო საქონლის ბაზარს;

ბ) უშუალოდ მოაწესრიგებს „ა“ პუნ. აღნიშნულ საწარმოთა შორის იმ საწარმოთა სავაჭრო და საწარმოო მოქმედებას ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა გამოცემისა და გავრცელების სფეროში, რომელნიც იმყოფებიან ა/კსფსრ დაწესებულებათა გამგებლობაში, და აგრეთვე ფედერატიული მნიშვნელობის საწარმოთა და ორგანიზაციათა მოქმედებას.

2. კერძოდ, ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ბეჭდვითი საქმის კომიტეტს დაეკისრება:

ა) შეიმუშაოს და განახორციელოს დადგენილი წესისამებრ ღონისძიებანი ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა და აგრეთვე ქაღალდისა და საკანცელარიო საქონლის ბაზრის მოწესრიგებისათვის და გამომცემლობის საქმისა და სათანადო საქონლის გამტარებელი აპარატის ორგანიზაციისა და რაციონალიზაციისათვის;

ბ) დანორმოს თვითღირებულების კალკულიაცია და მოაწესრიგოს ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა ფასები, აგრეთვე მოაწესრიგოს როგორც შინა-წარმობისა, ისე საზღვარგარეთიდან შემოტანილი ქაღალდისა და საკანცელარიო საქონლის ფასები;

გ) მოაწესრიგოს ანგარიშგასწორების პირობები საქონლის გამტარებელ ქსელში ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა, აგრეთვე ქაღალდისა და საკანცელარიო საქონლის ტრიალის ყველა სტადიაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) შეიმუშაოს და განახორციელოს დადგენილი წესისამებრ ღონისძიებანი, რაც ხელს შეუწყობს ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა ექსპორტს;

ე) შეიმუშაოს და განახორციელოს დადგენილი წესისამებრ ღონისძიებანი, რაც უზრუნველჰყოფს ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა გამოცემისა და გავრცელების საწარმოთა მომარაგებას პოლიგრაფიული გაწყობილობით და აღნიშნულ საწარმოთა საწარმოო მოქმედებისათვის საჭირო მასალებით; გაანაწილოს 1-ლი მუხლის „ბ“ პუნქტში აღნიშნულ საწარმოთა შორის და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებს შორის პოლიგრაფიული გაწყობილობისა და მასალების კოტტინგენტი;

ვ) შეიმუშაოს ქაღალდისა და საკანცელარიო საქონლის იმპორტის გეგმა;

ზ) მოაწესრიგოს გამომცემლობათა გამგებლობაში მყოფ პოლიგრაფიულ საწარმოთა მოქმედება; ამასთანავე ეს მოწესრიგება განხორციელდება სათანადო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით;

თ) შეიმუშაოს ბეჭდვითი სიტყვის ფინანსიურად მოგვარების გეგმა ფედერატიული და რესპუბლიკანური ბიუჯეტების მიხედვით; დააწესოს, ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, ბეჭდვითი სიტყვის ფინანსიურად მოგვარებისათვის ფედერატიული და რესპუბლიკანური ბიუჯეტებით გადადებულ ასიგნვათა ფარგლებში გასაცემი სახსარის რაოდენობა და გაცემის ვადები;

ი) აღნუსხოს ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა გამოცემისა და გავრცელების საწარმოთა მოქმედება;

კ) მოაწესრიგოს სარეკლამო საწარმოთა მოქმედება;

ლ) შეიმუშაოს კანონპროექტები და გამოსცეს დადგენილებები, ინსტრუქციები და წესები ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა გამოცემისა და გავრცელების საწარმოთა მოქმედებისა და აგრეთვე ქაღალდისა და საკანცელარიო საქონლის ბაზრის მოწესრიგებისათვის;

მ) თვალყური ადევნოს უშუალოდ 1-ლი მუხლის „ბ“ პუნ. აღნიშნულ საწარმოთა სავაჭრო და საწარმოო მოქმედებას;

ნ) მისცეს სათანადო ორგანოებს დასკვნა იმ საკითხების გამო, რაც ეხება 1-ლი მუხლის „ბ“ პუნ. აღნიშნულ საწარმოთა დაარსებას და მათი წესდებების (დებულებების) პროექტებს; აგრეთვე მისცეს დასკვნა პერიოდული ორგანოების გამოცემის ნებადართვის საკითხების გამო;

ო) დაამტკიცოს 1-ლი მუხლის „ბ“ პუნ. აღნიშნულ საწარმოთა საფინანსო-საწარმოო გეგმები.

3. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ბეჭდვითი საქმის კომიტეტს შეადგენენ თავმჯდომარე, რომელსაც დანიშნავს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ამ კომისარიატის კოლეგიის წევრთაგან, და სამი წევრი, რომელთაც დანიშნავს იგივე კომისარიატი თითო-თითოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებიდან, მათთან შეთანხმებით.

ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულების (ა/კსფსრ-ში შემავალ რესპუბლიკებში) სამმართველოების შედგენილობაში ბეჭდვითი საქმის კომიტეტები არ მოეწყობა და მათ ფუნქციებს, ამა დებულების 1-ლი მუხ. მიხედვით, შეასრულებს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ბეჭდვითი საქმის კომიტეტი. თავისი მოქმედების ამ ნაწილისათვის იგი ანგარიშს ჩაბარებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 62 (1728) №-ში 1928 წ. მარტის 16-ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 18 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

71. საბინაო მშენებლობაში მეღინაგეთა ცალკე კატეგორიების საკუთარი სახსარით საწილადო მონაწილეობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაწესებულ იქნეს შემდეგი მინიმალური რაოდენობა მეღინაგეთა ცალკე კატეგორიების მიერ იმ საბინაო მშენებლობაში მოსათავსებელი საკუთარი სახსარისა, რომელსაც კრედიტი ეძლევა როგორც კომუნალური მეურნეობისა და საბინაო მშენებლობის ცენტრალური ბანკის სახსარიდან, ისე სხვა, საბინაო მშენებლობისათვის დაწესებული, ფონდებიდან:

1. მუშათა საბინაო-სამშენებლო კოოპერატიული ამხანაგობისათვის, რომლის შედგენილობაშიაც უპირატესად მუშები შედიან, არა ნაკლებ განზრახული მშენებლობის ღირებულების 8%-სა—ამ კოოპერატიული ამხანაგობის წევრთა საპაიო სახსარის სახით.

2. მუშათა საბინაო-სამშენებლო კოოპერატიული ამხანაგობისათვის, რომლის შედგენილობაშიაც უპირატესად მოსამსახურენი შედიან—არა ნაკლებ 15%-სა.

3. თვით აღნიშნულ კოოპერატიულ ამხანაგობათა შიგნით, წევრთა შორის, შეიძლება დაწესებულ იქნეს სხვადასხვა რაოდენობა, ვადა, წესი და საშუალება კოოპერატივის წევრების მიერ, მათი სამუშაო საშვრის მიხედვით, როგორც პირვანდელი გადასახდელის შეტანისათვის—კოოპერატივის საკუთარი სახსარის შესაქმნელად, ისე შემდგომ გადასახდელთა შეტანისათვისაც—სესხისა და სარგებლის დასაფარავად, თანახმად ამიერკავკასიის საბინაო კოოპერაციის საბჭოს მიერ, ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, დადგენილი წესებისა.

4. საერთო-სამოქალაქო საბინაო სამშენებლო კოოპერატიული ამხანაგობისათვის—30%.

5. ინდივიდუალურ აღმნაგთათვის (მუშები და მოსამსახურეები), იმ პირობით, რომ ისინი შეასრულებენ მშენებლობის სასანიტარო-სატენნიკო მინიმალურ ნორმებს,—30%.

6. ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტებისათვის—35%.

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1928 წ. მარტის 8. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 63 (1729) №-ში 1928 წ. მარტის 17-ს.

72 ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 19 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

72. საქონლის საეტიკეტო ფასების დაცვისათვის ზედამხედველობის გაწევის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „საქონლის საეტიკეტო ფასების დაცვისათვის ზედამხედველობის გაწევის შესახებ“ 1926 წ. აპრილის 15-ს თარიღით და მე-9 №-რით გამოცემული (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-4 №-რი, მუხ. 637) დადგენილების გასაუქმებლად და სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ იმავე საგანზე 1928 წ. იანვრის 11-ს თარიღით გამოცემული (სსრკ კან. კრ. 1928 წ. მე-6 №-რი, მუხ. 54) დადგენილების თანახმად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი ინსტრუქცია:

ინსტრუქცია

საეტიკეტო ფასების დაცვისათვის ზედამხედველობის გაწევის შესახებ.

1. საქონელზე დაწესებული საეტიკეტო ფასები სავალდებულოა მთლად ა/კსფსრ ტერიტორიაზე როგორც სახელმწიფო საწარმოთა, კოოპერატიულ ორგანიზაციათა, შერეულ საზოგადოებათათვის და სხვ., ისე კერძო პირთათვის.

2. მეთვალყურეობა საქონელზე დაწესებული საეტიკეტო ფასების დაცვისათვის დაეკისრება ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს და მის ორგანოებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში, აგრეთვე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებსა და მათ ორგანოებს ადგილებზე.

3. საეტიკეტო ფასების შესახებ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის მეთვალყურე ორგანო ყოველი შემთხვევის გამო შეადგენს ოქმს, რაც პირველად გაეგზავნება სათანადო აღმასრულებელ კომიტეტს ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დასადებათ. დაწესებული საეტიკეტო ფასების განმეორებით დარღვევისათვის ოქმი გაეგზავნება სათანადო სახალხო სასამართლოს დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის შესაფერი მუხლის თანახმად.

4. ადმინისტრატიული წესით დასადები ჯარიმა არ უნდა აღემატებოდეს:

ა) გაათკეცებულ რაოდენობას იმ განსხვავებისას, რაც ფაქტიურად გაყიდული საქონლის პარტიის ფასსა და ამავე საქონლის პარტიის საეტიკეტო ფასს შორის არის ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც საეტიკეტო ფასების დარღვევა

№ 8 ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხდა საქონლის პარტიობით გაყიდვის დროს და როდესაც ზემოაღნიშნული განსხვავება ორმოცდაათ მან. აღემატება.

ბ) ორმოცდაათ მანეთს ყველა დანარჩენ შემთხვევაში.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**
ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭ. საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1928 წ. მარტის 5. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 63 (1729) №-ში 1928 წ. მარტის 17-ს.

დადგენილება № 20 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

73. ა/კსფსრ შინამრეწველობის გამოკვლევის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა/კსფსრ-ში შინამრეწველობისა და ხელოსნობის მდგომარეობის ყოველმხრივ გამოსარკვევად მოხდეს მიმდინარე წელს ა/კსფსრ შინამრეწველობისა და ხელოსნობის სტატისტიკურ-ეკონომიური გამოკვლევა.

2. დაეკისროს ამიერკავკასიის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს გამოკვლევის გეგმისა და პროგრამის შემუშავება და თვით გამოკვლევისათვის ხელმძღვანელობის გაწევა.

3. დაევალოს შინამრეწველთ და ხელოსნებს და ყველა წვრილ-წვრილ სამრეწველო საწარმოთ შეატყობინონ ხოლმე ამიერკავკასიის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოების მიერ რწმუნებამოსილ პირთ ყველა ის საჭირო ცნობა, რაც მოითხოვება გამოკვლევის პროგრამით.

4. უფლება მიეცეს ამიერკავკასიის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს მიიწვიოს ხოლმე გამოკვლევაში სამუშაოდ სახელმწიფო დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ის თანამშრომელნი, რომელნიც სპეციალისტები არიან მრეწველობის სხვადასხვა დარგისა, რაზედაც ამიერკავკასიის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო უნდა შეეთანხმოს სათანადო დაწესებულებას.

5. მრეწველობის გამოკვლევის დრო და ვადა განსაზღვრულ იქნეს ამიერკავკასიის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს განსაკუთრებული დადგენილებით.

6. წინადადება ეძლევა ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას და აგრეთვე კერძო პირს ყოველგვარი დახმარება გაუწიოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ორგანოებს აღნიშნული გამოკვლევის განხორციელების საქმეში.

7. ამა დადგენილებაში აღნიშნულ მოთხოვნათა აღუსრულებლობისათვის დამნაშავე მიიცემა კანონიერ პასუხისგებაში.

8. დაევალოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს გამოსცენ სათანადო დადგენილებანი ამა დადგენილების განვითარებისათვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1928 წ. მარტის 15. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 64 (1730) №-ში 1928 წ. მარტის 18-ს.

დადგენილება № 21 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

74. ამიერკავკასიის რკინის გზების აღმოსავლეთ უბნის გამოკვლევის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭომ განიხილა ამიერკავკასიის რკინის გზების აღმოსავლეთ უბნის გამომკვლევი განსაკუთრებული კომისიის მოხსენება და სცნო, რომ ამიერკავკასიის რკინის გზებზე, განსაკუთრებით-კი აღმოსავლეთ უბანში, მომხდარი კატასტროფებისა და შემთხვევების ძირითადი მიზეზებია:

ა) შრომის დისციპლინის სისუსტე, რაც იწვევს რკინის გზებზე მომსახურე აგენტების უნიათობას და უპასუხისმგებლობას;

ბ) არასაკმარისი კვალიფიკაცია და უხეირო მომზადება იმ აგენტების თვალსაჩინო ნაწილისა, რომელთა სამსახურიც დაკავშირებულია მოძრაობასთან, და აგრეთვე არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა ხაზთა აგენტების საინსტრუქტაჟო საქმისა;

გ) მთელი რიგი ტეხნიკური ნაკლულოვანებანი გზის გაწყობილობისა და არასაკმარისად ინტენსიური ზრდა ტეხნიკურ საშუალებათა ცალკე დარგების გაუმჯობესებისა;

დ) ფორმალიზმი და ბიუროკრატიული დამახინჯება გზების გამგებლობის სისტემისა; გადამეტებული ცენტრალიზაცია საგამგეო აპარატისა (კერძოდ, ხაზის მატერიალური მომარაგების დარგში) და აგრეთვე არასაკმარისად მოგვარება ცენტრის დირექტივებისა და სახელმძღვანელო განკარგულებების შესრულების შემოწმების საქმისა.

ამის გამო ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მიღებულ იქნეს შემდეგი ღონისძიებანი ამიერკავკასიის რკინის გზების მუშაობაში აღნიშნულ დეფექტების ასაცილებლად და აღმოსაფხვრელად, მით უფრო, რომ ამ გზების დანიშნულებაა განახორციელოს უაღრესად მნიშვნელოვანი მიზნები გადაზიდვისა და მიმოსვლის სფეროში, რის გამოც მისი მუშაობა მაქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმალურად უნდა იქნეს დაძაბული დი თვითეული მისი ნაწილის მოქმედება მტკიცედ შეთანხმებული და გარკვეული:

1. წინადადება მიეცეს, გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ-ში) მეშვეობით, ამიერკავკასიის რკინის გზების გამგეობას:

ა) მიიღოს, ა/კ. რკ. გზ. პროფკავშირთა საბჭოსთან ერთად, გადამწყვეტი ღონისძიებანი რკინის გზის აღმოსავლეთ უბნის ადმინისტრატიული პერსონალის გაჯანსაღებისათვის, განსაკუთრებით განჯის რაიონში,—კერძოდ, გააძლიეროს მომუშავეთა შედგენილობა ტეხნიკურად მომზადებული პირების დანიშვნით;

ბ) მიიღოს იმავე წესით საგრძნობი ღონისძიებანი ადმინისტრატიულ პერსონალში შრომის დისციპლინის გასაძლიერებლად;

გ) გადასინჯოს, ა/კ. რკ. გზ. პროფკავშირთა საბჭოსთან ერთად, ერთი თვის ვადაზე, რკინის გზის აღმოსავლეთ უბანში მოძრაობის ნაწილის მოსამსახურეთა შედგენილობა, რათა მუშაობისაგან მოხსნილ იქნენ ის პირნი, რომელნიც, კვალიფიკაციის მიხედვით, უვარგისნი არიან სამსახურისათვის, შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხლის „გ“ პუნქტისა და კოლექტიური ხელშეკრულობის წესისამებრ;

დ) გაძლიეროს სამუშაოდ მიღებისა და კვალიფიკაციის გამორკვევის დროს გამოცდის პირობები, განსაკუთრებით მოძრაობის ნაწილის აგენტების თანამდებობაზე დანიშვნისათვის;

ე) რათა თანდათან თავიდან აცილებულ იქნეს კვალიფიციური მუშა-ძალის შემთხვევით მოსული ელემენტებით შევსების საჭიროება, მიიღოს ღონისძიება პროფტეხნიკური კურსების მოსწავლეთა შედგენილობის უპირატესად ისეთ პირთაგან შევსებისათვის, რომელნიც ძირითად სატრანსპორტო ელემენტებს ეკუთვნიან; გაადიდოს პროფტეხნიკური კურსების რიცხვი და გააუმჯობესოს მათი მუშაობის თვისება, აგრეთვე განამტკიცოს ტრანსპორტზე კურსებ-დამთავრებულ პირთა დანიშვნის საქმე მით, რომ სავალდებულო გახადოს მათთვის ამიერკავკასიის რკინისგზებზე სამსახური განსაზღვრული ვადის განმავლობაში;

ვ) დაამყაროს, ა/კ. რკ. გზ. პროფკავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, აგენტების სამსახურში წინწაწევის წესი, რომლითაც უზრუნველყოფილ იქნება გამოცდილ და უნარიან მომუშავეთა უმაღლესი კვალიფიკაციის თანამდებობაზე გადასვლა;

ზ) მიიღოს სასწრაფო ღონისძიებანი იმ აგენტების ინსტრუქტაჟის მოსაწესრიგებლად და გასაძლიერებლად, რომელნიც მოძრაობის ნაწილში მსახურობენ, აგრეთვე ხაზისათვის საჭირო ბრძანებებისა, ინსტრუქციებისა და წესების მისაწოდებლად;

თ) ზედმიწევნით განსაზღვროს შრომის დისციპლინის დაცვისათვის პასუხისმგებელნი თანამდებობრივი პირნი, რომელთაც დააკისროს—თავის დროზე, სათანადო წესისამებრ, პასუხისგებაში მისცენ ხოლმე სადისციპლინო და სასამართლო წესით რკინის გზის დამნაშავე აგენტები ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი დაარღვევენ სამსახურის წესსა და რიგს;

ი) მიიღოს სასწრაფო და მტკიცე ღონისძიებანი, რათა თავიდან აცილებულ იქნეს კომისიის მიერ შემჩნეული დეფექტები სამსახურის წესის დარღვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვათა აღნუსხვის სისტემაში, აგრეთვე ამ დარღვევისათვის სადისციპლინო გადასახდელის დადების წესრიგში, კერძოდ, აცილებულ იქნეს სადისციპლინო საქმეთა ნელი ტემპით წარმოება, რაც შეუწყნარებელია;

კ) გადასინჯოს მოკლე ვადის განმავლობაში, ა/კ. რკ. გზ. პროფკავშირთა საბჭოსთან და შრომის საგზაო ინსპექციასთან ერთად, ამიერკავკასიის რკინის გზებზე ამ ჟამად მომქმედი ყველა ბრძანებისა, წესებისა და ინსტრუქციის ის ნაწილი, რაც შრომის დისციპლინას ეხება, რათა ყველა ეს სრულიად შეთანხმებულ იქნეს სადისციპლინო რეჟიმის გაძლიერების მიზანთან, ტრანსპორტის შინაგანრიგების ახალ წესებთან და ამ წესების დარღვევისათვის სადისციპლინო გადასახდელის დადების ტაბულასთან;

ლ) შეიმუშაოს, იმავე ორგანოებთან შეთანხმებით, და სახელმძღვანელოდ გახადოს ინსტრუქცია, რომლითაც განმარტებულ იქნება ახალი ტაბულით სადისციპლინო გადასახდელთა შეფარდების წესი, რისთვისაც მხედველობაში უნდა მიიღოს კომისიის მიერ საამოსოდ გამოთქმული მოსაზრებანი;

მ) მიიღოს ღონისძიებანი, რათა მუშა-მოსამსახურენი უზრუნველყოფილ იქნენ გზათა სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებული ყველა კმაყოფით;

ნ) მიიღოს ღონისძიებანი, რათა თავიდან აცილებულ იქნეს გამოკვლევით გამოაშკარავებული ნაკლულოვანებანი მორიგე ბრიგადების დასასვენებელი ოთახების მოწყობისა და სხვა ნაკლულოვანებანი იმ მუშაობისა, რაც მიმართულია რკინის გზის მოძრაობის ნაწილის აგენტებისათვის შრომის ნორმალური პირობების უზრუნველსაყოფად;

ო) რადგანაც რკინისგზის აღმოსავლეთ უბანში საბინაო კრიზისი განსაკუთრებით გამწვავებულია, მიიღოს, ა/კ. რკ. გზ. პროფკავშირთა საბჭოსთან ერთად, საჭირო ღონისძიებანი საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის განვითარებისათვის და ამ უბანში ახალ შენობათა აგების გაძლიერებისათვის—საბინაო მშენებლობის კოდიტების გამოყენებით;

პ) მიიღოს ღონისძიებანი, რათა სასწრაფოდ აღმოფხვრილ იქნეს კომისიის მიერ აღნიშნული ნაკლულოვანებანი გზის ხაზის მატერიალური მომარაგების საქმისა, კერძოდ—შეიმუშაოს საკითხი სამეურნეო სფეროში გზის ხაზის ადმინისტრაციის კომპეტენციის გაფართოვების შესახებ, რისთვისაც დაწვრილებით უნდა იქნეს განსაზღვრული მასალების დამოუკიდებლად შესყიდვის უფლება, როდესაც ამას ნამდვილი საჭიროება მოითხოვს;

ჟ) დაჩქაროს იმ ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება, რითაც გზის ხაზის აპარატს მეტი ინიციატივა მიეცემა;

რ) მოაწესრიგოს, კომისიის შენიშვნების მიხედვით, გზის ხაზის აპარატის მიერ ცენტრის დირექტივებისა, განკარგულებებისა და ინსტრუქციების აღსრულების შემოწმების სისტემა.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს, სარკინისგზო ტრანსპორტის მომუშავეთა სამსახურში მიღების საქმის მოწესრიგების მიზნით, მოაწყოს ბაქოს შრომის ბირჟასთან სარკინისგზო სექცია და სახელმძღვანელო დირექტივი მისცეს ყველა შრომის ბირჟას ამა დადგენილებიდან გამომდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარე წესის შესახებ, რომლის მიხედვითაც უნდა იგზავნებოდეს მუშა-ხელი ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამსახურში.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს:

ა) მოათავსოს მიმდინარე წლის სამუშაოთა გეგმაში შემუშავება საკითხისა ამიერკავკასიის რკინის გზის გამგებლობის სისტემის ნაკლულოვანებათა შესახებ;

ბ) გამოარკვიოს, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსათვის მოსახსენებლად, ის მიზეზები, თუ სახელმწიფო ტრესტებმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა რატომ არ შეასრულეს მათ მიერ ნაკისრები ვალდებულება ამიერკავკასიის რკინის გზებისათვის სპეცტანისამოსისა და სათბობი მასალის გაყიდვა-მიწოდების შესახებ.

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭ. საქ. მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1928 წ. მარტის 18. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 65 (1731) №-ში 1928 წ. მარტის 20-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

75. კოოპერატიული ორგანიზაციების მოქმედებაში ხელისუფლების ორგანოების უკანონო ჩარევით მიყენებული ზარალისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

რათა კოოპერაცია უზრუნველყოფილ იქნეს იმ ზარალისაგან, რაც შეიძლება გამოიწვიოს მის მუშაობაში ხელისუფლების ორგანოების უკანონო ჩარევამ, — ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. აეკრძალოს ხელისუფლების ყველა ორგანოს კოოპერატიული ორგანიზაციების ისეთ ოპერატიულ მოქმედებაში ჩარევა, რასაც ისინი განახორციელებენ თავიანთი წესდების თანახმად ან არსებული წესით დამტკიცებული გეგმებისა თუ სახელმწიფო დაწესებულებასთან და საწარმოსთან დადებული გენერალური ხელშეკრულობის შესასრულებლად. კერძოდ, აეკრძალოს ხელისუფლების ყველა ორგანოს კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის განკარგულების მიცემა საქონლის ნისიად გაცემის შესახებ, ვისთვისაც უნდა იყოს.

2. აეკრძალოს ხელისუფლების ყველა ორგანოს კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის განკარგულების მიცემა ისეთი ხარჯების წარმოების შესახებ, რაც გათვალისწინებული არ არის მათი წესდებით, საკავშირო, ფედერატიული და რესპუბლიკანური კანონმდებლობით, აგრეთვე არსებული წესისამებრ გამოცემული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების სავალდებულო დადგენილებით, როგორც, მაგალითად: საქველმოქმედო მიზნისათვის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების დახმარებისათვის და სხვ.

3. აეკრძალოს ხელისუფლების ისეთ ორგანოებს, რომელნიც საამისოდ კანონით უფლებამოსილნი არ არიან:

ა) კოოპერატიული ორგანიზაციების ისეთი რევიზიისა და ამა თუ იმ გამოკვლევის მოხდენა, რაც კანონით დაუწესებული არ არის;

ბ) კოოპერატიული ორგანიზაციებისაგან ანგარიშებისა, მოხსენებებისა, ცნობებისა და სხვა მასალების წარდგენის მოთხოვნა;

გ) კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის განკარგულების მიცემა ისეთი საორგანიზაციო ხასიათის საკითხების გამო, რასაც კოოპერატიული ორგანიზაციები დამოუკიდებლად სწყვეტენ თავიანთი წესდებისა და მომქმედი კანონდებულებების თანახმად, როგორც, მაგალითად: წევრთა საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) მოწვევისა, მმართველ-გამგებლობისა და კონტროლის ორგანოების არჩევნებისა, სამსახურისაგან თანამშრომელთა მოხსნისა ან სამსახურში მათ მაგიერ ახალი თანამშრომლების დანიშვნისა, მოქმედების გეგმების დამტკიცების შესახებ და სხვ.

4. ხელისუფლების ორგანო პასუხს აგებს ქონებრივად იმ ზარალისათვის, რასაც კოოპერატიულ ორგანიზაციას მიაყენებს ხსენებული ორგანოს ხელქვეითი თანამდებობის პირის უკანონო სამსახურებრივი მოქმედება, რომლითაც დარღვეული იქნება ამა დადგენილების მოთხოვნანი, უკეთუ სისხლის სამართლის ან სადისციპლინო წესით დამტკიცებულ იქნა, რომ თანამდებობის პირი პასუხისმგებელია აღნიშნული დარღვევისათვის.

ხელისუფლების ორგანოს, თავისი მხრით, უფლება აქვს დაადოს თანამდებობის პირს დანაზღი ინ საზღაურის რაოდენობით, რაც მან გადაუხადა დაზარალებულ კოოპერატიულ ორგანიზაციას.

5. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა უნდა შეიტანონ თავიანთ კანონმდებლობაში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭ. თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი-სასახლე. 1928 წ. მარტის 7.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს (67 (1733) №-ში 1928 წ. მარტის 22-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ Ა/ᲙᲡᲤᲡᲠ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲘ.

76. ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ Ა/ᲙᲡᲤᲡᲠ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ „Ა/ᲙᲡᲤᲡᲠ ᲒᲖᲐᲢᲙᲔᲪᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲐᲠᲐᲒᲖᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲡᲐᲒᲐᲜᲗᲕᲘᲡᲔᲑᲝ ᲗᲝᲚᲘᲡ ᲜᲝᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲛᲝᲑᲐᲖᲔ“ 1927 Წ. ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ 6-ᲘᲡ ᲗᲐᲠᲘᲦᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ ᲓᲐ Ა/ᲙᲡᲤᲡᲠ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲐᲓᲒᲔᲜᲔᲜ:

ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ Ა/ᲙᲡᲤᲡᲠ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ „Ა/ᲙᲡᲤᲡᲠ ᲒᲖᲐᲢᲙᲔᲪᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲐᲠᲐᲒᲖᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲡᲐᲒᲐᲜᲗᲕᲘᲡᲔᲑᲝ ᲗᲝᲚᲘᲡ ᲜᲝᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲛᲝᲑᲐᲖᲔ“ 1927 Წ. ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ 6- ᲗᲐᲠᲘᲦᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ (Ა/ᲙᲡᲤᲡᲠ ᲙᲐᲜ ᲙᲠ. 1927 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔ-13 №-ᲠᲘ, ᲛᲣᲮ. 165) ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔ-15 ᲛᲣᲮᲚᲘ ᲓᲐᲔᲛᲐᲢᲝᲗ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘᲡ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ:

„**ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ.** ᲝᲛ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲙᲐᲢᲔᲒᲝᲠᲘᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲣᲜᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲓ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲑᲐᲦᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲜᲝᲑᲔᲑᲡ ᲔᲙᲕᲠᲘᲡ, ᲒᲐᲜᲗᲕᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲗᲝᲚᲘᲡ ᲡᲘᲒᲐᲜᲔ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲮᲖᲕᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲒᲖᲐᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲘᲗ, ᲗᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲖᲔ ᲦᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲔᲑᲘᲗ. ᲨᲔᲣᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲒᲖᲐᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲕᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲔᲡ Ა/ᲙᲡᲤᲡᲠ ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲘᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲨᲔᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ“.

ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ
ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ **Მ. ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐ.**

Ა/ᲙᲡᲤᲡᲠ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ **Შ. ᲔᲚᲘᲐᲕᲐ.**

ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ
ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ **Ა. ᲨᲐᲕᲔᲠᲓᲝᲕᲘ.**

1928 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲢᲘᲡ 7. ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ—ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔ.

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ „ᲮᲐᲠᲘᲐ ᲕᲝᲡᲢᲝᲙᲐ“-Ს 67 (1733) №-ᲨᲘ 1928 Წ. ᲛᲐᲠᲢᲘᲡ 22-Ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 22 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

77. სახელმწიფო საწარმოთა მოგების ანარიცხის ხაზინის შემოსავლად შეტანის წესის შესახებ.

სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სახელმწიფო საწარმოთა მოგებისა და აგრეთვე საკავშირო საზოგადოებაში და სინდიკატებში მონაწილე სახელმწიფო ორგანოების ხვედრი დივიდენდის ხაზინის შემოსავლად შეტანის წესის შესახებ“ 1928 წ. თებერვლის 2-ს თარიღით გამოცემული („იზვ.“ 36 №-რი 1928 წ. თებერვლის 11-სა) დადგენილების თანახმად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. კომერციული ანგარიშის (სამეურნეო) პრინციპზე მომქმედნი სახელმწიფო საწარმონი, რომელთა საოპერაციო წელიწადი 1927 წ. ოქტომბრის 1-ს დამთავრდა, მოვალენი არიან თავიანთი მოგების ანარიცხები, რაც ხაზინას 1926-27 წელს შემოსავლად ერგება, შეიტანონ არა უგვიანეს 1928 წლის ივნისის 30-სა ყოველთვიური თანაბარი რაოდენობით, დაწყებული ამა წლის მარტიდან.

2. ასეთივე საწარმონი, რომელთა საოპერაციო წელიწადი 1928 წ. იანვრის 1-ს დამთავრდა, მოვალენი არიან თავიანთი მოგების ანარიცხები, რაც ხაზინას 1926-27 წელს შემოსავლად ერგება, შეიტანონ არა უგვიანეს ამა წლის სექტემბრის 30-სა ყოველთვიური თანაბარი რაოდენობით, დაწყებული ამავე წლის აპრილის 1-დან.

3. მოგების გამოანგარიშების წესისათვის სახელმძღვანელოდ მიღებულ უნდა იქნეს სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული, 1928 წლის თებერვლის 2-ს, დადგენილების მე-2 და მე-3 მუხლი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1928 წ. მარტის 5. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 68 (1734) №-ში 1928 წლის მარტის 23-ს.

დადგენილება ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსი.

78. ა/კსფსრ შინამრეწველობისა და ხელოსნობის გამოკვლევის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. მარტის 15-ს თარიღისა და მე-20 №-რის დადგენილების თანახმად ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო აწარმოებს ა/კსფსრ შინამრეწველობისა და ხელოსნობის მდგომარეობის გამოკვლევას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. გამოკვლევა იწარმოებს მთლად ა/კსფსრ ტერიტორიაზე 1928 წ. აპრილისა და მაისის განმავლობაში და დამთავრებულ უნდა იქნეს ივნისის 1-თვის.

3. გამოკვლევა უნდა შეეხოს შინამრეწველურ და ხელოსნურ მეურნეობას (კომლი), სახელოსნოს და წვრილ (არაცენზიან) სამრეწველო საწარმოს.

4. გამოკვლევისათვის უშუალო ხელმძღვანელობის გაწევა, ა/კ. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ შემუშავებული გეგმისა და პროგრამის მიხედვით, დაეკისრება ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოებს (აზერბაიჯანის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, სომხეთის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს და საქართველოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს).

ა/კ. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს
მმართველი **გრიგორიანი.**

მრეწველობის სტატისტიკის სექტორის გამგე **ალახვერდოვი.**

1928 წ. მარტის 19-ს.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტ."-ს 68 (1734) № ში 1928 წ. მარტის 23-ს.

დადგენილება ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა.

79. წესები სოფლელთა უღარიბესი ნაწილისათვის კრედიტის მისაცემად არსებული საამიერკავკასიო ფონდის დახარჯვის ანგარიშგების წარდგენის შესახებ.

ამა დადგენილებით განხორციელდება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1928 წლის მარტის 3-ს (ოქმი № 7) დამტკიცებული წესები სოფლელთა უღარიბესი ნაწილისათვის კრედიტის მისაცემად არსებული საამიერკავკასიო ფონდის დახარჯვის ანგარიშგების წარდგენის შესახებ.

ანგარიშგების ფორმები დაინტერესებულ ორგანიზაციას შეუძლიან მიიღოს ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატში.

ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისრის მაგიერ **გაბიევი.**

ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის საფინან.-საკონ.
სამმართველოს უფროსის თან. დროებით აღმას. **სიმონიანი.**

I. საერთო ნაწილი.

1. ა/კსფსრ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო სისტემის ყველა დაწესებულება, რომლის მეშვეობითაც გაიცემა სოფლელთა უღარიბესი ნაწილისათვის კრედიტის მისაცემად არსებული ფონდის სახსარი ბოლო მსესხებლებამდე, მოვალეა წარადგინოს, ამა წესების თანახმად, საანგარიშო ცნობები აღნიშნული სახსარის დახარჯვის შესახებ.

2. ამა წესებთან დართული ანგარიშგების ფორმებით გათვალისწინებულია:

ა) ცნობები ფონდის სახსარის მდგომარეობისა და მოძრაობის შესახებ;

ბ) ცნობები ფონდის სახსარის გამოყენების შესახებ, სოფლის მეურნეობის დარგთა და კლიენტურის ხასიათის მიხედვით.

3. წინა მუხლში აღნიშნული ცნობები წარდგენილ უნდა იქნეს კვარტალობით და საანგარიშო წლისთვის ამასთანავე დართული ფორმით.

II. ანგარიშგება.

4. ა/კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკი წარუდგენს სახელმწიფო საფინანსო კონტროლს კვარტალობით და წლიურად ცნობებს ფონდის სახსარის მდგომარეობისა და მოძრაობის შესახებ 1-ლი №-რის ფორმით.

5. პირველი საფეხურის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა წარუდგენს რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკს საანგარიშო ცნობებს სოფლელთა უაღრიბესი ნაწილისათვის კრედიტის მისაცემად არსებული საამერკავკასიო ფონდის სახსარის დახარჯვის შესახებ (მე-2 №-რის ფორმით) კვარტალობით და საანგარიშო წლისათვის.

6. რესპუბლიკანური სასოფლო-სამეურნეო ბანკი შეადგენს კვარტალური და წლიური საანგარიშო ცნობების ჯუმლს (მე-3 №-რის ფორმით) და წარუდგენს ორ ცალად ამერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკს.

7. ამერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკი შეადგენს რესპუბლიკანურ კვარტალურ და წლიურ საანგარიშო ცნობების ერთიან ჯუმლს იმავე მე-3 №-რის ფორმით და, თვითეული რესპუბლიკანური საანგარიშო ცნობების თანდართვით, წარუდგენს ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს—სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ხაზით. წლიურ ანგარიშს ა/კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკი დაურთავს, როგორც თვით ა/კ. სახ.-სამ. ბანკისა, ისე რესპუბლიკანური სახ.-სამ. ბანკების რევიზიისა და გამოკვლევის მასალებზე დამყარებულ განმარტებითი წერილს, რომლითაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს ფონდის სახსარიდან კრედიტის გაცემის პრაქტიკის უაღრესი მნიშვნელობის მომენტები და, განსაკუთრებით-კი, სოფლელთა უღარიბესი ნაწილისათვის კრედიტის მისაცემად არსებული ფონდის დახარჯვის წესებისაგან სერიოზული გადახრის მომენტები, როგორიც არის, მაგალითად: გადახდის თავდაპირველი და უკანასკნელი ვადებისა და ნაწილობრივი გადასახადის რაოდენობის შეცვლა, სახსარის არათავისდროზე დახარჯვა და სხვ.

III. ანგარიშგების ვადები.

8. კვარტალური საანგარიშო ცნობები წარდგენილ უნდა იქნეს:

ა) სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა მიერ რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკებისათვის (მე-2 №-ის ფორმა)—არა უგვიანეს საანგარიშო კვარტალის მომდევნო პირველი თვის 5 რიცხვისა;

ბ) რესპუბლიკანური სასოფლო-სამეურნეო ბანკების მიერ ა/კ. სახ.-სამეურნეო ბანკისათვის (მე-3 №-რის ფორმა) არა უგვიანეს იმავე თვის 20 რიცხვისა;

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ა/კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის მიერ სახელმწიფო საფინანსო კონტროლისათვის (1-ლი და მე-3 №.რის ფორმა) არა უგვიანეს იმავე თვის 30 რიცხვისა.

9. წლიური საანგარიშო ცნობები წარდგენილ უნდა იქნეს:

ა) სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა მიერ რესპუბლიკანური სასოფლო-სამეურნეო ბანკებისათვის (მე-2 №-ის ფორმა)—არა უგვიანეს საანგარიშო წლის მომდევნო იანვრის 1-სა.

ბ) რესპუბლიკანური სასოფლო-სამეურნეო ბანკების მიერ ა/კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკისათვის (მე-3 №-რის ფორმა) არა უგვიანეს საანგარიშო წლის მომდევნო თებერვლის 1-სა;

გ) ა/კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის მიერ სახელმწიფო საფინანსო კონტროლისათვის (1-ლი და მე-3 ფორმა)—არა უგვიანეს საანგარიშო წლის მომდევნო თებერვლის 15-სა.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტ.“-ს 69 (1735) №-ში 1928 წ. მარტის 24-ს.

დადგენილება ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის განმწესრიგებელის სხდომისა.

1928 წ. მარტის 17. № 5—P.

1O. ა/კ. რკინის გზების სადგურების მიერ ქალ. ბაქოსა, ლენინაკანსა, ბათუმსა და ფოთში საბაჟო მოქმედების შესრულებისათვის გადასახდევინებელი საკომისიო გამოსაღების ნიხრის (ტარიფის) დაწესების შესახებ.

სსრკ რკინის გზების მომქმედი წესდების მე-18 მუხლის 1-ლი დანართის მე-14 პარაგრაფისა, ადგილობრივი ტარიფების დებულებისა და ა/კ. რკ. გზების გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის მომქმედი დებულების წესისამებრ—ამა დადგენილებით დაწესებულია ა/კ. რკ. გზების სადგურების მიერ ქალ. ბაქოსა, ლენინაკანსა, ბათუმსა და ფოთში საბაჟო მოქმედების შესრულებისათვის გადასახდევინებელი საკომისიო გამოსაღების შემდეგი ნიხრი (ტარიფი):

1. საიმპორტო, საექსპორტო ან სატრანზიტო ტვირთის მზიდველი გემის ტრიუმში სასტივადორო სამუშაოსათვის	საორგანიზაციო—ტონნაზე 30 კაპ.
2. გემზე ტვირთის მიღებისათვის საბაჟო პაკჰაუზში ჩასაბარებლად ან, სამაგიეროდ, საბაჟო პაკჰაუზში ტვირთის მიღებისათვის გემზე ჩასაბარებლად	საორგანიზაციო—ტონნაზე 15 კაპ.
3. საბაჟო დათვალიერებისათვის, ბაჟის გასტუმრებისათვის და დანარჩენი საბაჟო და სხვაგვარი წესის	

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესრულებისათვის	საორგანიზაციო—ტონნაზე 60 კაპ.
4. ვაგონიდან საბაჟო საწყობში ტვირთის მიღებისათვის ან, სამგზეიროდ, საბაჟო საწყობიდან ტვირთის ვაგონში ჩაბარებისათვის, საბაჟო წესის შეუსრულებლად.	საორგანიზაციო—ტონნაზე 30 კაპ., ხოლო არა ნაკლებ 5 მანეთისა ვაგონზე და 1 მანეთისა გაგზავნაზე.
5. დახარისხებისათვის, ადგილის მიღებისათვის, გადალაგებისათვის და სხვ.	საორგანიზაციო—ტონნაზე 15 კაპ.
6. საღერბო გამოსაღები	ნამდვილი ღირებულებით.
7. სააგენტოს მიერ ფულის გადახდევინებისათვის ტვირთის პატრონის მინდობილობით	საკომისიო $^1/_5$ პროც. იმ თანხისა, რაც ტვირთის მიმღები გადაიხდის, ხოლო არა ნაკლებ 1 მ. თითო დავალებისათვის.
8. ფასდადებული ამანათით მიღებული ფულის კომიტენტისათვის გადაგზავნა	ნამდვილი ღირებულებით, რასაც დაერიცხება $^1/_5$ პროც. მიღებული თანხისა, ხოლო არა ნაკლებ 1 მანეთისა.
9. დოკუმენტების ინკასირობისათვის	$^1/_4$ პროც. ინკასირული თანხისა, ხოლო არა ნაკლებ 1 მანეთისა.
10. ბაჟის გადასახდელად სესხის მიცემისათვის . . .	საკომისიო 12 პროც. წლიურად.
11. სააგენტოს საწყობებში შენახვისათვის	იმ განაკვეთით და იმ პირობით, რაც საბაჟო საწყობებში ტვირთის შენახვისათვის არსებობს (იხ. სსრკ ვაჭრ. სახ. კომ-ტის 1927 წ. 12/IV თარიღისა და 367/ათ. №-რის ბრძანება და 1927 წ. 4/XI თარიღისა და 434/ათ. №-რის დამატება.
12. ტვირთის დახლვევა საწყობში და გზაში.	ნამდვილი ღირებულებით.
13. თანგამყოლთა მიჩენა	ნამდვილი ღირებულებით.
14. ტარას შეკეთება და ხელახლად ჩაფუთვა	ნამდვილი ღირებულებით.
15. ვაგონების საქონლის დატვირთვისათვის შეგუება და საქონლის თავახდილ ბაქანებზე დამაგრება . .	ნამდვილი ღირებულებით.
16. კლიენტის მოთხოვნით საქონლის სათავსებისათვის რისამე შემოკერა ან შემოკვერა	ნამდვილი ღირებულებით.

შენიშვნა 1. ეს ნიხრი არ გავრცელდება იმ კომიტენტეე, რომელთანაც სააგენტოს დადებული აქვს განსაკუთრებული შეთანხმება უფროო შეღავათიან პირობებზე.

შენიშვნა 2. ამ ნიხრში (ტარიფში) მუშა-ძალის ფასი არ შედის.

ნიხრი ესე (ტარიფი) დაწესებულია იმ დრომდე, ვიდრე იგი გაუქმებულ არ იქნება, და სამოქმედოდ შემოიღება 30 დღის გასვლის შემდეგ დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა.

ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათა-
შორისო სატარიფო თათბ. თავმჯდ. მოადგილე **ტერ-მიკაელიანი.**

საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის საქმეთა
მმართველი, უფროსი ეკონომისტი **ვერდერევსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტ.“-ს 69 (1735) №-ში 1928 წ. მარტის 24-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 23 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

§1. კომერციული ანგარიშის პრინციპზე მომქმედ სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა, კოოპერატიულ ორგანიზაციათა და სახელმწიფო და კოოპერატიული კაპიტალის მონაწილეობით მომქმედ სააქციონერო საზოგადოებათა მიერ ფულადი ოპერაციების წარმოების წესის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი ინსტრუქცია.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭ. საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1928 წ. მარტის 20. ტფილისი-სასახლე.

ინსტრუქცია

კომერციული ანგარიშის პრინციპზე მომქმედ სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა, კოოპერატიულ ორგანიზაციათა და სახელმწიფო და კოოპერატიული კაპიტალის მონაწილეობით მომქმედ სააქციონერო საზოგადოებათა მიერ ფულადი ოპერაციების წარმოების წესისათვის.

1. მიმდინარე ფულადი ოპერაციებისათვის, ფულადი სახსარის როგორც შემოსვლისა, ისე გაცემის აღსანიშნავად, დაწესებულებას თუ საწარმოს უნდა ჰქონდეს საკრედიტო დაწესებულებაში თავის სახელზე მიმდინარე ანგარიში.

შენიშვნა 1. უკეთუ დაწესებულება ან საწარმო ისეთ ადგილას იმყოფება, სადაც საკრედიტო დაწესებულების განყოფილება არ არსებობს, იგი გაიხსნის მიმდინარე ანგარიშს ფინანსთა სახალხო კომისარიატის ადგილობრივ სალაროში ან სახელმწიფო საშრომო შემნახველ სალაროში; ხოლო, უკეთუ იმ ადგილას ეს სალაროებიც არ არსებობს, ასეთ დაწესებულებასა თუ საწარმოზე ამა მუხლის მოთხოვნა, აგრეთვე სხვა მუხლების მოთხოვნაც მიმდინარე ანგარიშის შესახებ, არა ვრცელდება.

შენიშვნა 2. ამა მუხლის მოთხოვნა სავალდებულოა დაწესებულებისა თუ საწარმოს იმ წარმომადგენლისათვის, რომელსაც აქვს ანგარიშ-სავალდებულო თანხები საოპერაციო ხარჯების გასაწევად. ამ შემთხვევაში მიმდინარე ანგარიში გაიხსნება ანგარიშვალდებული პირის თანამდებობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა 3. დაწესებულება თუ საწარმო მოვალეა აღნიშნოს თავისი ისეთი დოკუმენტის ბლანკზე, რომელიც გაცემულია გარე-ტრიალისათვის, იმ საკრედიტო დაწესებულების სახელწოდება, სადაც მას მიმდინარე ანგარიში აქვს, ავრეთვე ამ ანგარიშის ნომერიც.

2. დაწესებულებამ თუ საწარმომ ყველა თავისი ფულადი თანხა უნდა გაიღოს თავისი მიმდინარე ანგარიშის ჩეკით, ხოლო დაწესებულებათა თუ საწარმოთა შორის ერთი-ერთმანეთთან ანგარიშის გასწორება, უკეთუ მათ მიმდინარე ანგარიშები აქვთ, საჭიროა სწარმოებდეს ისე, რომ საკრედიტო დაწესებულებას მიეცეს წერილობითი დავალება ერთი მიმდინარე ანგარიშიდან თანხის მეორე მიმდინარე ანგარიშზე გადარიცხვის შესახებ. გამონაკლისი შეიძლება თანამშრომელთათვის სამუშაო ხელფასის მიცემის შემთხვევაში, ავრეთვე ისეთ შემთხვევაში, როდესაც გასაცემია არათავლსაჩინო თანხები, მაგალითად, მასსიური ხასიათის ოპერაციებისათვის სხვადასხვა ქალაქებში მყოფ ფულის მიმღებთა მიმართ (გლეხები და სხვ.), ე. ი. ისეთ შემთხვევაში, როდესაც ჩეკების გაცემას შეუძლიან გამოიწვიოს სერიოზული უხერხულობა.

შენიშვნა 1. დაწესებულებისა თუ საწარმოს მიერ ჩეკების გაცემა უნდა სწარმოებდეს ადმინისტრაციის წერილობითი განკარგულების თანახმად და ჩამოყალიბებულ უნდა იქნეს უწყებულ დაწესებულებასა თუ საწარმოში დამყარებული წესისამებრ.

შენიშვნა 2. ბანკების მოვალეობას შეადგენს თავის დროზე აცნობონ კლიენტურას მათი მიმდინარე ანგარიშების ოპერაციები, თანახმად ბანკებისათვის მიცემული ინსტრუქციისა ამ ოპერაციების ჩამოყალიბების ტეხნიკის შესახებ.

3. მიმდინარე სამეურნეო ხარჯებისათვის საჭირო თანხა უნდა მიეცეს ანგარიშ-სავალდებულო წესით იმ თანამშრომელს, რომელიც მეურნეობას განაგებს ან ტეხნიკურ მომსახურეობას უწევს დაწესებულებას თუ საწარმოს, ისეთი რაოდენობით, რაც ერთკერეულ მიმდინარე საჭიროებას არ აღემატება. ამ თანხის დახარჯვის საავანსო ანგარიში წარდგენილ უნდა იქნეს ყოველთვის, როდესაც ანგარიშ-სავალდებულო თანხა კვლავ მიიღება.

4. ის პირი, ვისაც შესანახად აბარია ფულადი თანხები და სხვა ფასეულობანი (მოლარე), მოვალეა მიიღოს და გასცეს ეს ფასეულობანი მხოლოდ ისეთი წერილობითი განკარგულების თანახმად, რაც ჩამოყალიბებულ იქნება უწყებულ დაწესებულებასა თუ საწარმოში დამყარებული წესისამებრ, და რაც სათანადოდ ხელმოწერილი იქნება. სხვა დოკუმენტისა ან სიტყვიერი განკარგულების თანახმად ფასეულობის მიღება ან გაცემა აკრძალულია.

5. სალაროს მიერ წარმოებული ფულადი ფასეულობის მიღებისა და გაცემის ოპერაციების აღსანუსხავად მოლარე აწარმოებს შემოსავალ-გასავლის (საკასსო) დავთარს, რომელშიაც ჩაიწერება, თვით ოპერაციის მოხდენის მომენტში, სალაროში შემოსული ყველა დოკუმენტი. საკასსო დავთარს ჯამი უნდა გაუკეთდეს ყოველ დღე, საკასსო ოპერაციების დამთავრებისას, და დავთარში უნდა აღინიშნოს ფულადი ფასეულობის ნაშთი შემდეგი დღისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. არავითარი ამოფხეკა დავთარში ჩანაწერისა არ შეიძლება. შეცდომით ჩანაწერი წაიშლება გადახაზვით, შეიცვლება სწორე ჩანაწერით და ჩამოყალიბდება განსაზღვრული წესისამებრ.

6. საკასსო დავთარში გამოყვანილი ნაშთი შემოწმებულ უნდა იქნეს სალაროს ანგარიშთან საანგარიშო ნაწილის მიერ ამ ნაწილის ცნობების მიხედვით და, ნაშთის სისწორის გამორკვევის შემდეგ, ეს დამოწმებულ უნდა იქნეს საკასსო დავთარში ჩაწერით.

იქვე წერილობით აღინიშნება მოლარის მიერ საანგარიშო ნაწილისათვის საოპერაციო დღის განმავლობაში საშემოსავლო და საგასავლო დოკუმენტების გადაცემა.

შენიშვნა. ამა მუხლის მოთხოვნა არ გავრცელდება ისეთ ორგანიზაციაზე, სადაც შეფარდებრლია მარტივი წესი სალაროს ოპერაციების ფიქსაციისა და აღნუსხვისა, როგორც, მაგალითად: სასოფლო და სამაზრო-საქალაქო კოოპერატივში და სხვ.

7. საოპერაციო დღის ბოლოს დაწესებულება თუ საწარმო მოვალეა ფულადი სახსარის თავისუფალი ნაშთი,—შემდეგი დღის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად და დაწესებული ლიმიტის ფარგლებში დასატოვებელი თანხის გამოკლებით,—შეიტანოს თავის მიმდინარე ანგარიშზე.

შენიშვნა. იმ შემთხვევაში, როდესაც ფულის ჩაბარება საოპერაციო დღის ბოლოს მოუბერხებელია, ნაშთი შეიძლება შეტანილ იქნეს შემდგომი დღის დასაწყისში.

8. ისეთი განყოფილებისა, პუნქტის ან ნაწილის მქონე დაწესებულება თუ საწარმო, რომელიც ფულის მიღებასთან დაკავშირებულ ოპერაციებს აწარმოებს, ხოლო დამოუკიდებელ აღნუსხვის-კი არა, მოვალეა გამოსცეს სათანადო წესები, რითაც მოწესრიგდება ამ ნაწილების საკასსო ოპერაციები ამა ინსტრუქციის საფუძველზე.

9. ყველა ფულადი ფასეული, რაც-კი დაწესებულებასა თუ საწარმოში ტრიალებს, უნდა ინახებოდეს ცეცხლისმძლე შკაფში ან სათანადო საკასსო საცავში.

10. საკასსო ოპერაციები დაწესებულებამ თუ საწარმომ უნდა დაამთავროს და სალარო უნდა დაიკეტოს ერთი საათით ადრე მეცადინეობის დამთავრებამდე.

11. დაწესებულება თუ საწარმო მოვალეა მოახდინოს ხოლმე პერიოდულად სალაროს უეცარი რევიზია სალაროში დატოვებული ფულადი ფასეულობის ნაშთის შესამოწმებლად. რევიზიას მოახდენენ ადმინისტრაციისა და საანგარიშო ნაწილის წარმომადგენელნი. შემოწმების შედეგის შესახებ შედგენილ იქნება აქტი, რაც დაწესებულებისა თუ საწარმოოს საქმეში ინახება.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტ.“-ს 71 (1737) №-ში 1928 წ. მარტის 27-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის განმწესრიგებელი სხდომისა

1928 წ. მარტის 17. № 5—P.

82. ა/კ. რკ. გზ. ჭიათურა-საჩხერის უბნით საქალაქმიდამო მიმოსვლისათვის თვიური ბილეთების გაცემის წესის შესახებ.

ქალ. ჭიათურის მუშა-მოსამსახურეთა მიმოსვლისათვის ჭიათურა (178)—საჩხერის (181) უბნით ამა დადგენილებით შემოიღება ჭიათურის სადგურზე (178) საქალაქმიდამო სახის თვიური ბილეთების გაყიდვა, ხოლო მომქმედი საერთო სამგზავრო ტარიფის განკვეთებით. განათლების სამიზნო გამოსაღები გადახდევინებულ იქნება ბილეთის საერთო ღირებულების მიხედვით. თვიური ბილეთის საყიდლად საჭიროა მყიდველმა წარუდგინოს ჭიათურის სადგურის უფროსს ვინაობის მოწმობა ფოტოგრაფიული სურათით, რომელი მოწმობაც გაცემულ უნდა იქნეს სათანადო დაწესებულების მიერ იმის დასამტკიცებლად, რომ ესა თუ ის პირი მართლა მუშაა ან მოსამსახურე. ბილეთები გაიცემა საერთო წესისამებრ. ტარიფი ესე (წესი) დადგენილია ერთის წლის ვადით და სამოქმედოდ შემოიღება 7 დღის გასვლის შემდეგ ამა დადგენილების გამოქვეყნებიდან.

ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათა-
შორისო სატარიფო თათბ. თავმჯდ. მოადგილე **ტერ-მიქაელიანი.**

საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის საქმეთა
მმართველი, უფროსი ეკონომისტი **ვერდერევსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტ.“-ს 71 (1737) №-ში 1928 წ. მარტის 27-ს.

დადგენილება № 3 ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა და ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა.

1928 წ. მარტის 26.

83. ოთხფეხი საქონლისა და ცხოველთა უმი პროდუქტების ნორმალური შეფასების შესახებ სავეტერინარო-სასანიტარო გასინჯისათვის გამოსაღების გადასახდევინებლად.

ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების 1927 წ. აგვისტოს 9-ს დებულების 51 მუხლის შენიშვნის თანახმად 1927 წ. მარტის 22-ს თარიღითა და 14/129 №-რით გამოცემული დადგენილების გასაუქმებლად—ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი და ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი ადგენენ:

1. ოთხფეხი საქონლისა და ცხოველთა უმი პროდუქტების სავეტერინაროსასანიტარო გასინჯისათვის ა/კსფსრ ტერიტორიაზე გამოსაღების გადახდევინების დროს ყოველმა აღმასრულებელმა კომიტეტმა უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი უკიდურესი ფასები:

ა. ოთხფეხი საქონელი:

ა) ძროხა, თითო სულზე	80	მან.
ბ) მსხვილფეხა რქოსანი საქონელი	100	„
გ) ცხენი და აქლემი	150	„
დ) ჯორი	75	„
ე) ვირი	25	„
ვ) ხბო და ზაქი	20	„
ზ) ღორი	20	„
თ) ნერბი-ცხვარი, ვერძი ცხვარი, თხა	12	„
ი) ბატკანი, ციკანი და გოჟი 6 თვემდე	4	„

შენიშვნა. გამოსაღები საეტერინარო გასინჯისათვის არ შეიძლება აღემატებოდეს 30 კაპ. თითო სულ მსხვილფეხა საქონელზე.

ბ. ტყავი:

ა) მსხვილფეხა რქოსანი საქონლის (კამეჩისაც) - ახალი ტყავი 1 კილოგრ.	—	მან.	56 კაპ.
ბ) აქლემისა—თითო ცალი	8	„	— „
გ) ცხენისა—თითო ცალი	3	„	— „
დ) წვრილფეხა რქოსანი საქონლისა, დედალ-მამლობისა და წლოვანების განურჩევლად, თითო ცალი	1	„	50 „
ე) ზღვის ლომი—თითო ცალი	2	„	— „
ვ) გარეული ტახისა	1	„	— „

გ. ბეწვეული:

	ცალი		
ა) კვერნა და წავი	20	მან.	კაპ.
ბ) მელა	5	„	— „
გ) მგელი, დათვი და ფოცხვერი	4	„	— „
დ) ტურა, მაჩვი და გარეული კატა	1	„	— „
ე) კურდღელი და ბაჭია	—	„	20 „
ვ) აღუნიშვნელი გვარისა	1	„	— „

დ. ჯაგარი და ცხენის ძუა:

	კილოგრ.			
ა) ჯაგარი გაუწმენდელი	3	მან.	და	75 კაპ.
ბ) ჯაგარი გაწმენდილი და ნახევარ-ფაბრ.	6	„	„	25 „
გ) ცხენის ძუა	1	„	„	90 „

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე. მ ა ტ ყ ლ ი:

		კილოგრ.
ა) ცხვრის მატყლი	—	მან. და 50 კაპ.
ბ) აქლემის მატყლი	1	„ „ 50 „
გ) თხის მატყლი და ძროხისა, კამეჩისა და ცხენის ბალანი	—	„ „ 20 „

ვ. მსხვილფეხა რქოსანი საქონლის კუდი:

		კილოგრ.
ა) კუდი კუკუზანაქით	—	მან. და 7 კაპ.
ბ) კუდის ძუა უკუკუზნაქოთ და უსხვარამოთ, რაც ძუას დაამძიმებს	—	„ „ 37 „

ზ. ნ ა წ ლ ე ვ ი:

		კილოგრ.
ა) ვერძი-ცხვრის წვრილი ნაწლევი დამარილებული	4	მან. და 60 კაპ.
ბ) ვერძი-ცხვრის ბრმა ნაწლევი	—	„ „ 95 „
გ) ძროხის წვრილი ნაწლევი მშრალი	1	„ „ 25 „
დ) ძროხის წვრილი ნაწლევი დამარილებული . . .	1	„ „ 20 „
ე) ძროხის რგვალი ნაწლევი	—	„ „ 95 „
ვ) ძროხის ბრმა ნაწლევი მშრალი	3	„ „ 20 „
ზ) ძროხის ბრმა ნაწლევი დამარილებული	—	„ „ 75 „
თ) ძროხის ბუშტი მშრალი	1	„ „ 55 „

თ. რქა, ჩლიქი, ძვალი:

		კილოგრ.
ა) რქა, ჩლიქი და ძვალი	—	მან. და 13 კაპ.

ი. ქ ო ნ ი:

		კილოგრ.
ა) ქონი ტეხნიკური	—	მან. და 44 კაპ.
ბ) ღორის ქონი	—	„ „ 60 „

კ. ხ ო რ ც ი:

		ცალი.
ა) აუქნავი ხორცეული წითელი საქონლისა . . .	60	მან. და — კაპ.
ბ) აუქნავი ხორცეული კამეჩისა	45	„ „ — „
გ) აუქნავი ხორცეული მსხვილი რქოსანი საქონლისა, გაყინული	45	„ „ — „
დ) აუქნავი ხორცეული გარეული ტახისა	30	„ „ — „

№ 5 ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ. ლ ო რ ი:

	კილოგრ.
ლორი	1 მან. და — კაპ.

მ. ბუმბული და ფრთა:

	კილოგრ.
ბუმბული და ფრთა	1 მან. და 25 კაპ.

2. ამა დადგენილების გამოცემისათანავე გაუქმებულია ყველა ის დადგენილება, რაც ოთხფეხი საქონლისა და ცხოველთა უმი პროდუქტების ნორმალური შეფასების საკითხის შესახებ გამოცემულია ა/კსფსრ ფარგლებში ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა და მისი რწმუნებულების მიერ რესპუბლიკებში და ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ.

3. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ.

4. დადგენილება ესე სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარი **ა. ბეკზადიანი.**

ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარი **დ. ჰუსეინოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტ.“-ს 72 (1738) №-ში 1928 წ. მარტის 28-ს.

დადგენილება № 24 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1928 წ. მარტის 5.

1. იმ მომუშავეთა შესახებ, რომელთაც სამუშაო დღე დანორმილი არა აქვთ.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1928 წლის თებერვლის 13-ს თარიღისა და 106 №-რის დადგენილება „იმ მომუშავეთა შესახებ, რომელთაც სამუშაო დღე დანორმილი არა აქვთ“.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისრის მოადგილე **ბანოვიჩი.**

ა/კ. შრომის სახალხო კ-ტის სატარიფო-საკონფ-
ლიქტო განყოფილების გამგე **სიზოტენკო.**

შეთანხმებულა: ამ'ერკავკასიის პროფ. კავშირის
საბჭოს თავმჯდომარე **იაკუბოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 106 სსრკ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1928 წ. თებერვლის 13.

იმ მომუშავეთა შესახებ, რომელთაც სამუშაო დღე დანორმილი არა აქვთ.

მოკავშირე რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებს.

თანახმად სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის აგვისტოს 6-ს დადგენილებისა *) (ოქმი № 23, პარ. 57) „იმ მომუშავეთა შესახებ, რომელთაც სამუშაო დღე დანორმილი არა აქვთ“, სსრკ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. დაუნორმავი სამუშაო დღე დაწესებულებასა, საწარმოსა და მეურნეობაში შეიძლება შემოღებულ იქნეს:

ა) საადმინისტრაციო, საგამგებლო, სატეხნიკო და სამეურნეო პერსონალის პირთათვის;

ბ) იმ პირთათვის, რომელთა შრომის აღნუსხვაც დროის მიხედვით მოუხერხებელია (კონსულტანტი, ინსტრუქტორი, აგენტი და სხვ.).

გ) იმ პირთათვის, რომელნიც სამუშაო დროს თავისი შეხედულებით ინაწილებენ;

დ) იმ პირთათვის, რომელთა სამუშაო დროც, სამუშაოს ხასიათის მიხედვით, დაყოფილია განუსაზღვრელი ხანგრძლიობის ნაწილებად.

2. იმ პროფესიებისა, თანამდებობისა და სამუშაოების სიას, რომლისთვისაც შეიძლება შემოღებულ იქნეს დაუნორმავი სამუშაო დღე, შეიმუშავებს სათანადო პროფესიონალური კავშირი და სამეურნეო ორგანო და შეიტანს კოლექტიურ ხელშეკრულებაში.

3. დაუნორმავი სამუშაო დღის შეფარდება ისეთ სახელმწიფო დაწესებულებაში, სადაც დანორმილი სამუშაო ხელფასია, შეიძლება იმ მომუშავეებისათვის, რომელთაც უჭირავთ სსრკ შრომის სახალხო კომისარიატისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატების მიერ (კუთვნილებისამებრ) გამოცემულ განსაკუთრებულ ნუსხებში აღნიშნული თანამდებობანი.

4. შრომის ხელშეკრულებაში თუ კოლექტიურ ხელშეკრულებაში, ან შინაგანრიგების წესებში ჩამოთვლილი უნდა იყოს ყველა ის ძირითადი მოვალეობა, რაც შეადგენს იმ პირთა სამუშაოს მოცულობას, რომლებზედაც, მე-2 მუხ. წესისამებრ, გავრცელებულია დაუნორმავი სამუშაო დღე.

უკეთუ მომუშავე შეასრულებს ისეთ სამუშაოს, რაც დაკავშირებული არ არის შრომის ხელშეკრულებით, კოლექტიური ხელშეკრულებით და შინაგანრიგების წესებით გათვალისწინებულ მის მოვალეობასთან, ამ მუშაობისათვის მას მიეცება სასყიდელი შეთანხმებისამებრ, როგორც ცალკე შენაკვეთის შესრულებისათვის.

---

*) ეს დადგენილება გამოქვეყნებული არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. 1—3 მუხლ. აღნიშნული მომუშავენი, საერთო წესისამებრ, განთავისუფლდებიან მუშაობისაგან ყოველკვირეული დასვენების დღეს, სადღესასწაულო დღეს და განსაკუთრეული დასვენების დღეს ისეთი შემთხვევის გამოკლებით, რაც განსაკუთრებით აღნიშნულია შრომისა თუ კოლექტიურ ხელშეკრულებაში ან შინაგანრიგების წესებში.

უკეთუ ასეთი აღნიშნვა არ არის, იმ მუშაობისათვის, რაც წაუმოებულ იქნება ზემოჩამოთვლილ დღეებში, მომუშავეს უნდა მიეცეს კომპენსაცია საერთო წესისამებრ.

სსრკ შრომის სახალხო კომისარი **შმიდტი.**

სსრკ შრ. სახ. კ-ტის სატ.-საკონ. განყ. გამგე **ბობაშინსკი.**

შეთანხმებულია სრულიად საკავშირო პროფ. კავშირთა ცენ. საბჭოსთან (სსპკცს სატარ. ეკონ. განყოფ. 1928 წ. თებერვლის 2-ს თარიღისა და 320—650 (76) №-რის მიმართვა).

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტ." 74 (1740) №-ში 1928 წ. მარტის 30-ს.

დადგენილება ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის განმწესრიგებელი სხდომისა.

1928 წ. მარტის 17 № 5—P.

85. აზერბაიჯანის საფეიქრო ტრესტის სახვევ-საქსოვი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა მიმოსვლისათვის ა/კ. რკ. გზ. 48 (04) ადგილობრივი ტარიფის „ბ" პარაგრ. შეფარდების შესახებ.

აზერბაიჯანის საფეიქრო ტრესტის სახვევ-საქსოვი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა მიმოსვლისათვის განჯის ვიწროლიანდაგიანი შტოთი ამა დადგენილებით შეფარდებულია „ბ" პარაგრაფი ა/კ. რკ. გზ. 48 (04) №-რის ადგილობრივი ტარიფისა, რაც გამოქვეყნებულია გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს 1298 №-ში 1927 წ. ოქტომბრის 10-ს და 1650 №-ში 1927 წ დეკემბრის 7; ამ შეფარდებისათვის დაცულ უნდა იქნეს აღნიშნული ტარიფის ყოველი წესი.

ტარიფი ესე დაწესებულია ერთი წლის ვადით დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათა-
შორისო სატარიფო თათბ. თავმჯდ. მოადგილე **ტერ-მიქაელიანი.**

საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის საქმეთა
მმართველი, უფროსი ეკონომისტი **ვერდერევსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 74 (1740) №-ში 1928 წ. მარტის 30-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

86. ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტის მიერ „ა/კსფსრ ტერიტორიაზე მომქმედ საერთო-საკავშირო უწყებათა ხარჯთაღრიცხვების განხილვის წესის თაობაზე“ 1927 წ. სექტემბრის 5-ს თარიღით გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „ა/კსფსრ ტერიტორიაზე მომქმედ საერთო-საკავშირო უწყებათა ხარჯთაღრიცხვების განხილვის წესის შესახებ“ 1927 წ. სექტემბრის 5-ს თარიღით გამოცემული (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-16 №-რი, მუხ. 193) დადგენილების 1-ლი მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 1. ა/კსფსრ ტერიტორიაზე მომქმედმა საერთო-საკავშირო და გაერთიანებულმა უწყებამ და დაწესებულებამ უნდა წარადგინოს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატში ასული ხარჯთაღრიცხვისა და აგრეთვე საკონტროლო ციფრების პროექტის გამო მიცემული დასკვნისა იმავე დროს, როდესაც აღნიშნული ხარჯთაღრიცხვა და დასკვნა წარდგენილ იქნება საუწყებო ცენტრში“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1928 წ. მარტის 26. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა-“ს 75 (1741) №-ში 1928 წ. მარტის 31-ს

დადგენილება № 24 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

87. ა/კსფსრ სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური სახარჯო განაწერების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ყველა გაერთიანებულ უწყებას და ცენტრალურ დაწესებულებას, რომელსაც კი დამოუკიდებელი ხარჯთაღრიცხვა აქვს, შეადგინოს და გაუგზავნოს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს, შესათანხმებლად და საკასსო დაწესებულებათათვის დასაგზავნად, 1927-28 წ. წლიური სახარჯო განაწერი, რისთვისაც სახელმძღვანელოდ უნდა იქონიოს თავისი ხარჯთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღრიცხვის წლიური დანიშნულებანი იმ თანხების რაოდენობით, რაც მიღებულ იქნა ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ 1928 წ. მარტის 1-ლს, სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების საფუძველზე, სსრკ 1927-28 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვის დროს,

2. წლიურ სახარჯო განაწერში (მუხ. 1-ლი) წლიური დანიშნულებანი განაწილდებიან კვარტალებზე, კრედიტების მთავარ განმკარგულებელთა შეთანხმებით ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან; ამასთანავე გამობრილ უნდა იქნეს კრედიტების ყველა ის თანხა, რაც გაცემულ იქნა ამა დადგენილების გამოცემამდე დროებითი სახარჯო განაწერებით და ცალკე წერილობითი განკარგულებებით.

3. აღნიშნული წესით შედგენილი სახარჯო განაწერების საფუძველზე, ვიდრე სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი სსრკ-ის ერთიან სახელმწიფო ბიუჯეტს და ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ა/კსფსრ 1927-28 წლის ერთიან სახელმწიფო ბიუჯეტს დაამტკიცებენ, კრედიტები შეიძლება იხარჯებოდეს ყოველთვიურად, დაწყებული მარტიდან, არა უმეტეს, ვიდრე იმ ნაშთის საერთო თანხის $^1/_7$-ს რაოდენობით, რაც დარჩება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1928 წლის თებერვლის 13-ს მთელი ხარჯთაღრიცხვით მიღებული წლიური დანიშნულებიდან 1928 წლის მარტის 1-დე გაცემულ ასიგნეთა გამოკლების შემდეგ.

4. უკეთუ ა/კსფსრ 1927-28 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების დროს ყველა უწყებისა და დაწესებულების საგასაღო ხარჯთაღრიცხვებით (მუხ. 1-ლი) შეცვლილ იქნებიან წლიური დანიშნულებანი, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1928 წ. თებერვლის 13-ს მიღებულ თანხებთან შედარებით, წლიურ სახარჯო განაწერებში შეტანილ უნდა იქნენ სათანადო ცვლილებანი.

5. წინადადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს განსაზღვრონ, ამა დადგენილების თანახმად, აღნიშნული რესპუბლიკების ბიუჯეტების მიხედვით 1927-28 წლისათვის წლიური სახარჯო განაწერების შედგენის წესი; ამასთანავე საფუძვლად მიღებულ უნდა იქნენ რესპუბლიკების უწყებათა და დამოუკიდებელი ხარჯთაღრიცხვების მქონე ცენტრალურ დაწესებულებათა სახარჯთაღრიცხვო ხარჯების დანიშნულებანი იმ თანხების რაოდენობით, რაც მიღებულია ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ 1928 წლის მარტის 1-ლს, სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვის დროს დადგენილ დანიშნულებათა საფუძველზე.

6. ა/კსფსრ საერთო-ფედერატიული ბიუჯეტით და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტებით გათვალისწინებული განსაკუთრებული ფონდებიდან გასაწევი ხარჯები წარმოებულ იქნეს ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს 1928 წ. მარტის 1-ლის დადგენილებასთან შეთანხმებით იმ თანხების საფუძველზე, რაც მიღებულ იქნა სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვის დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტით სახალხო მეურნეობის ფინანსიურად მოგვარებისათვის გათვალისწინებული განსაკუთრებული კრედიტები, ვიდრე სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი სსრკ ერთიან სახელმწიფო ბიუჯეტს და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ა/კსფსრ ერთიან სახელმწიფო ბიუჯეტს დაამტკიცებენ, გახსნილ იქნეს 1928 წ. მარტის 1-დან დაწყებული, არა უმეტეს, ვიდრე იმ ნაშთის საერთო თანხის $^1/_7$ რადენობით, რაც დარჩება სათანადო წლიური დანიშნულებიდან 1928 წლის მარტის 1-დე გაცემულ ასიგნეთა გამოკლების შემდეგ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის
მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა
მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1928 წ. მარტის 22. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 75 (1741) №-ში 1928 წ. მარტის 31-ს.

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.
მთავლიტი № 1130. დაიბეჭდა 1000.